8980-გ-3-202311161322

N 8980-გ 16.11.2023

სსიპ მუნიციპალური
განვითარების ფონდი

გადაწყვეტილება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **„ინოვაციები, ინკლუზიური განათლება და ხარისხი“ (I2Q)**
განმახორციელებელი: **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**
მისამართი: **დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი, საქართველო**
ტენდერის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **#IBRD/I2Q/CW/NCB/08-2023**
კონტრაქტის დასახელება: **სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია/რეაბილიტაცია (ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)**
ქვეყანა: **საქართველო**
შერჩევის გამოყენების მეთოდი: **ეროვნული საბაზრო მიდგომა**
სამუშაოების ხანგრძლივობა: **15 (თხუთმეტი) თვე**
შეფასების ვალუტა: **ლარი**
საკონტრაქტო ღირებულება: **6,767,003.81 ლარი**

ტენდერში მონაწილე კომპანიები:

1. შპს „ჯორჯიანს კონსტრაქშენ კომპანი“;
2. შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“;

გამარჯვებული კომპანია:

დასახელება: **შპს „ჯორჯიანს კონსტრაქშენ კომპანი“;**
მისამართი: **საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ N2, ბ.11, თბილისი, საქართველო**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **6,767,003.81 ლარი**
შეფასებული ფასი: **6,767,003.81 ლარი**
საკონტრაქტო ფასი: **6,767,003.81 ლარი**

შეფასებული კომპანია:

დასახელება: **შპს „ქრიათივ იმფრეშენს კავკასუს“;**
ფაქტიური მისამართი: **ზ. გორგილაძის ქ.91, ბათუმი, საქართველო;**
სატენდერო წინადადების ამოკითხული ფასი: **7,210,073.00 ლარი**
შეფასებული ფასი: **7,231,463.98 ლარი**

პროექტის მოკლე აღწერილობა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში (ს/კ 26.01.78.001) მდებარე, სსიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლა“-ს კუთვნილი სკოლის შენობა აგებულია 1963 წელს. ის განთავსებულია სწორ რელიეფზე და წარმოადგენს თითქმის კვადრატული ფორმის ძირითადად 3 სართულიან ნაგებობას სარდაფით. შენობა შედგება ორი სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ნაწილისგან (პირობითად ფლიგელისგან) - სკოლისა და კულტურის სახლისგან. კონსტრუქციულად ისინი ერთმანეთისგან არაა გამოყოფილი. თუმცა სკოლისგან განსხვავებით კულტურის სახლის ფლიგელი ერთსართულიანია მაღალი ჭერით.
მთლიანი შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომებია 36×50 მ, სკოლის ფლიგელის პირველი სართულის სიმაღლე 3,55 მეტრია, მეორე სართულისა - 3,9 მეტრი, ხოლო მესამისა - 3,8 მეტრი. სარდაფის სართულის სიმაღლე კი 2 მეტრია. კულტურის სახლის მაყურებელთა დარბაზის სიმაღლე 7,7 მეტრია, ხოლო სცენისა და კულისებისა - 12 მეტრი.
პროექტი მოიცავს, ქ. ბათუმში საჯარო სკოლის შენობის და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. გათვალისწინებულია შენობის გადაგეგმარება. ასევე გათვალისწინებულია სხვა და სხვა ადმინისტრაციული, ჰიგიენური, საერთო დანიშნულების ოთახების გამოყოფა. ყველა არსებული კედლები და იატაკები სრულად იქნება გასუფთავებული ძველი მოპირკეთებისგან და შეიცვლება ახლით პროექტის შესაბამისად. ასევე შეცვლას ექვემდებარება შენობის ფასადის მოპირკეთების ელემენტები, გადახურვის ბურული და წყალარინებითი ელემენტები პროექტის შესაბამისად. პროექტით გათვალისწინებულია ლიფტის მშენებლობა შენობის გარე ფასადზე, რაც უზრუნველყოფს შშმ პირთათვის ყველა სართულზე მისაწვდომობას. გათვალისწინებულია სკოლის ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც მოიცავს განათების ბოძების, წყლის სოკოს, გამწვანების, ჩარდახების, სპორტული მოედნის რეაბილიტაციას. ასევე შეიცვლება ეზოში არსებული ასფალტის ბილიკები ახლით. დამონტაჟდება ბეტონის პანდუსები შშმ პირთათვის. პროექტით გათვალისწინებულია არსებული საქვაბე შენობის დემონტაჟი და ახალი საქვაბე შენობის აშენება.

დავით ტაბიძე

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია